SBA საქართველოს ბიზნესის აკადემია
BUSINESS ACADEMY OF GEORGIA

ბუღალტერია

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია პირს გააცნოს ბუღალტრული და ფინანსური აღიცხვის პრინციპები და მათი როლი ორგანიზაციის მართვაში. ასევე გააცნოს და შეასწავლოს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების ასახვა. პირველადი საღრიცხვო დოკუმენტების სახეები, გამოყენების დანიშნულება და შედგენა, როგორც ელექტრონულად, ასევე შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ პორტალზე.

სასწავლო პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი პირისთვის და სტუდენტებისათვის, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლონ ბუღალტრული და ფინანსური აღიცხვის პრინციპები ასევე, იმ პირებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ აიმაღლონ კვალიფიკაცია საბუღალტრო სფეროში ან შეისწავლონ ელექტრონული ბუღალტერია.

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა

პროგრამის მოცულობაა 3 კრედიტი (სულ 75 საათი, მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობაა 75, აქედან: თეორიული მეცადინეობა - 27 საათი, პრაქტიკული მეცადინეობა - 45, გამოცდა - 3 საათი).
პროგრამის ხანგრძლივობაა 60 დღე.
სწავლა წარმოებს კვირაში 4 დღე. მეცადინეობის ხანგრძლივობა დღეში შეადგენს 3 საათს (კვირაში 12 საათი).

სასწავლო კურსის განხორციელებისა და სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს სალექციო სწავლებას,ინდივიდუალურად და სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული სავარჯიშოების/ამოცანების შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საბუღალტრო აღრიცხვისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას.
სასწავლო პროცესი ემყარება შემდეგ მეთოდებს:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი,რომელიც გულისხობს კონკრეტული სავარჯიშოების წერით შესრულებას;
- ჯგუფური მუშაობა - დისკუსია, გონებრივი იერიშის მეთოდების, ასევე კითხვა-პასუხისა და საქმიანი სიტუაციების ინსცენირების სახით, რაც წარმოადგენს აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებას;
- დემონსტრირების მეთოდი - გულისხმობს სალექციო თემის ირგვლივ არსებული მასალის, პრეზენტაციის და სხვა სასწავლო მასალის გამოყენებასა და ჩვენებას, რაც აადვილებს სასწავლო მასალის აღქმას.
- პრაქტიკული სავარჯიშოების/საბუღალტრო ოპერაციების შესრულება ელექტრონულ პროგრამაში.

პროგრამის დასრულების ბოლოს ტარდება გამოცდა, რის საფუძველზეც გაიცემა სერტიფიკატი.
სწავლება მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში .

სწავლის საფასური:
ჯგუფში მსმენელთა **მინიმალური** რაოდენობაა - **8**
ჯგუფში მსმენელთა **მაქსიმალური** რაოდენობაა - **30**
31 და მეტი მსმენელის შემთხვევაში შედგება ახალი ჯგუფი.

ერთი მსმენელის ღირებულება შეადგენს 950 ლარს

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22;

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

იცის:

- ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
- ფინანსური აღრიცხვის ზოგადი პრინციპები
- ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესები
- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების სახეები და მათთან მუშაობის ზოგადი პრინციპები
- კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობის წესები

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
შეუძლია:

– ფინანსური ანგარიშგების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება) მომზადება;
– პირველადი სააღრიცხვო და საგადასახადო დოკუმენტების შედგენა, როგორც ელექტრონულად, ასევე შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ პორტალზე;
– საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა და სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულად ასახვა.

კომუნიკაციის უნარი
შეუძლია:

- თანამედროვე საოფისე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

- ✓ სერტიფიცირების პროცესი ტარდება გამოცდით კომპიუტერებთან;
- ✓ გამოცდა გულისხმობს პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას;
- ✓ პრაქტიკული დავალებები ფასდება სირთულის მიხედვით 0,25 ქულიდან 2 ქულის ფარგლებში;
- ✓ ტესტირებისთვის განსაზღვრული ქულების ფარგლებში, დადებითი შეფასების მოპოვების წინაპირობაა დადგენილ ქულათა ნახევარზე მეტის დაგროვება.

გამოცდაზეარადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს გამოცდაზე 10 დღის ვადაში. განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი საბოლოა.

<u>სერტიფიცირების პროცესი</u>

სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობას აკვირდება სერტიფიცირების კომისია, რომლის შემადგელობაში შედიან როგორც დარგის სპეციალისტები, ისე პოტენციური დამსაქმებლები.

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22 (ოთახი 109), ტელეფონი: 2 40 34 40, 2 40 33 40, ელფოსტა: info@sba.edu.ge